



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№1, 2018





კონკურსები

მიზიანარე კონკურსები

1. 2017 წლის 20 ნოემბერს გამოცხადდა სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2018 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი -1000 000 ლარი). სულ შემოვიდა 21 პროექტი. პროექტები გამარჯვებულის გამოსავლენად გადაეცა საექსპერტო კომისიას.
2. 2017 წლის 20 დეკემბერს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2018 წ. პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსი. სულ შემოვიდა 27 პროექტი. პროექტები გამარჯვებულის გამოსავლენად გადაეცა საექსპერტო კომისიას.
3. 2018 წლის 7 მარტს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის 2018 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი - 400 000 ლარი). პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 30.04.2018 წელი.

დასრულებული კონკურსები


4. 2017 წლის 20 ნოემბერს გამოცხადდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2018 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი - 250 000 ლარი). შემოვიდა 13 პროექტი, საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა შემდეგი 4 პროექტი:
 - „ტრაური“ - 27 000 ლარი
 - „ყვავი“ - 60 000 ლარი
 - „ფრენცის სასადილო“ - 113 000 ლარი
 - „მიტოვებული სოფელი“ - 50 000 ლარი

მოსამზადებელ პერიოდში:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენცია“ (პროდიუსერი - შპს „ნიკე სტუდიო“ დირექტორი - რუსუდან ჭყონია, რეჟისორი - რუსუდან ჭყონია);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფილმსი“, დირექტორი - დავით აბრამიშვილი, რეჟისორი - დავით აბრამიშვილი);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “ზამთრის დეპრესია” (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, დირექტორი - ნიკა გუგუშვილი, რეჟისორი - თამაზ ნარიმანიძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეხდაკრული“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“ დირექტორი - ნიკოლოზ გუგუშვილი, რეჟისორი - გიორგი ქობალია);

გალაღის პერიოდში:

- ქართულ - უცხოური კოპროდუქცია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როგორ გავყიდოთ ომი“ (პროდიუსერი - შპს „20 steps production“ - დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - რუდოლფ ჰერცოგი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მინდვრის ყვავილები“ (პროდიუსერი - „3003 ფილმ ფროდაქშენ“ მინდობილი პირი - თამარ თვარაძე, რეჟისორი - ლანა ლოლობერიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რატომ ვართ ერთად“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია ფონოგრამი“ პაატა გომიაშვილი, რეჟისორები - ილო ლლონტი, ლევან ლლონტი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამერი“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“ ელენე მარგველაშვილი, რეჟისორი - ვ. კალანდაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მარქსის ქუჩა 12“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია კედარი“ - ირინე ჟორდანიას, რეჟისორი - ირინე ჟორდანიას);



“43”



“ანტონი”



“გაპიკობა”



“მინდვრის ყვავილები”

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცარიელი მაგიდა“ (პროდიუსერი - შპს „ვიზუალური ხელოვნების ცენტრი“ დირექტორი - ქეთევან გალდავაძე, რეჟისორი - გიორგი ქობალაია);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი - ფიზიკური პირი ლუკა მგელაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ღამის მორიგე“ (პროდიუსერი - შპს „პრედატორ ფილმი“ დირექტორი - თამარ გოლავა, რეჟისორები - ნატო გაბუნია, გრიგოლ ჯანაშია);
- ერთობლივი ქართულ-თურქული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი“ (პროდიუსერი - სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი - ერეკლე ბადურაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ (პროდიუსერი - შპს „კინო იბერიკა“ დირექტორი - ლევან კოლუაშვილი, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხე“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - სალომე ჯაში, რეჟისორი - სალომე ჯაში).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - სალომე და თამთა ხალვაში).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი_ „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი - შპს “თთფილმი” დირექტორი - თამარ გურჩიანი, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - ირაკლი მეტრეველი).

მონტაჟის პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შინდისი“ (პროდიუსერი - შპს „თავისუფალი კინოსტუდია“, დირექტორი - ედმონდ მინაშვილი რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე).
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უარყოფითი რიცხვები“ (პროდიუსერი - შპს „მაგნეტ ფილმს“ დირექტორი - დავით ისაკაძე, რეჟისორი - უტა ბერია).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცუდი ხალხი“ (პროდიუსერი - „20 Steps productions“ დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - გიორგი თავართქილაძე).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი დღე“ (პროდიუსერი - შპს „არტ ფაბრიკა“ დირექტორი - თამაზ ორაშვილი, რეჟისორი - გიორგი შენგელაია).
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დაკარგული რვანახევარი“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, რეჟისორი - ვახო ვარაზი).
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მიუსაფარი“ (პროდიუსერი - შპს „საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზურაბ ინაშვილი, რეჟისორი - ზურაბ ინაშვილი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „წინ, წინაპრებისკენ! (პროდიუსერი - შპს „დიაფილმი“ დირექტორი - შორენა თევზაძე, რეჟისორი - შორენა თევზაძე).
- მცირებიუჯეტიანი მხატვრული ფილმი „ღორი“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - გიგა ლიკლივაძე).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა პეპლები იწყებენ ფრენას“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - ბექარ ჯგუბურია).
- ერთობლივი ქართულ-უკრაინული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანტონი“ (პროდიუსერი - შპს „Georgian Internasional Films“ დირექტორი - მირზა დავითაია, რეჟისორი - ზაზა ურუშაძე).



“აღლუმი”



“მეოთხე ბრაიტონი”



“პიონერები”

“ჰორიზონტი”

- ერთობლივი ქართულ - უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდასამი - 43“ (პროდიუსერი - შპს „სინეტექი“ დირექტორი - რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე).
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “კაცი” (პროდიუსერი - შპს „სინემაგია“, დირექტორი - გიორგი კაჭარავა, რეჟისორი - გიორგი კაჭარავა).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი _ „ისტორია საოჯახო ალბომიდან“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - ანნა ძიაპშიპა, რეჟისორი - ანნა ძიაპშიპა).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი „სანამ მამა დაბრუნდება“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“ დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - მარიამ გულბიანი).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღლუმი“ (პროდიუსერი - შპს „ახალი ქართული ფილმი“ დირექტორი - ნიკა აბრამაშვილი, რეჟისორი - ნინო ჟვანია).
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უცხო“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - დიმიტრი მამულია).
- სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუსი“ - (პროდიუსერი - შპს „სტუდიო“, რეჟისორი - ოთარ შამათავა).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (პროდიუსერი - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, დირექტორი - ივანე არსენიშვილი, რეჟისორები - ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „პიონერთა სასახლე“ (პროდიუსერი - ააიპ „Matchhouse Film“ დირექტორი - ანა ციმინტია, რეჟისორი - ანა ციმინტია).
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ზოლემია“ (პროდიუსერი - ინდ/საწარმო „ქეთევან ჯანელიძე“, მხატვარ/ანიმატორი - ნინა სამანიშვილი).

- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“ დირექტორი - გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი - ფ/პირი ირაკლი ზადათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).

დასრულდა:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰორიზონტი“ (პროდიუსერი - შპს „ჯემინი“ დირექტორი - თინათინ ყაჯრიშვილი, რეჟისორი - თინათინ ყაჯრიშვილი).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პამპულობანა“, (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრ ფილმი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - ამირან დოლიძე).

განვითარდა:

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „მეფე“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, სცენარის ავტორი - ირაკლი სოლომანაშვილი).



“უარყოფითი რიტმები”



“მკვლელის მოწმე”

კინოფესტივალები

საქართველო ბერლინის 68-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე

ეროვნული კინოცენტრი ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე წელს მეცამეტედ იყო წარმოდგენილი.



საქართველოს სტენდი

ეროვნული კინოს ბაზრობაზე (EFM) საქართველოს სტენდი ამჯერად ეკონომიკის სამინისტროს სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ და ეროვნულმა კინოცენტრმა ერთობლივად წარმოადგინეს. საქართველოს პავილიონში ქართული ფილმების პრომოუშენის გარდა, საქართველოში გადაღებით დაინტერესებული უცხოელი კინომწარმოებლებისთვის პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ გაცნობა ხდებოდა.

კინობაზრობაზე (EFM) საქართველოს პავილიონში ინდუსტრიული კუთხით მუშაობდნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - ზურაბ მაღალაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი - დავით ვაშაძე, საქართველოს წარმომადგენელი ევრიმაჟში - თამარ ტატიშვილი და კინოცენტრისა და სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ სხვა წარმომადგენლები. რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდში“ დაცული ქართული კინომემკვიდრეობის სამშობლოში დაბრუნების პროცესი გრძელდება. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ეროვნული კინოცენტრის, თიბისი ბანკის, ჯი-ემ-თი ჯგუფისა და კომპანია IDS ბორჯომი საქართველოს მხარდაჭერით, საქართველოში, გოსფილმოფონდში დაცული, კიდევ, თერთმეტი ქართული ფილმი დაბრუნდა.



„ჰორიზონტი“ პრემიერა სექციაში „პანორამა“

16 თებერვალს ბერლინალეს სექციაში Panorama შედგა თინათინ ყაჯრიშვილის ახალი ფილმის „ჰორიზონტი“ მსოფლიო პრემიერა. ფილმი ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. იგი საქართველო-შვედეთის კოპროდუქციაა, მთავარ როლებს ია სუხიტაშვილი, გიორგი ბოჭორიშვილი, სოსო გოგიჩაიშვილი, ნანა დათუნაშვილი, ჯანო იზორია და ლიკა ოყროშიძე ასრულებენ.

ფილმის პრემიერამ ბერლინის კინოფესტივალზე წარმატებით ჩაიარა. პირველი ჩვენების შემდეგ მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა რეჟისორს, პროდიუსერს და მსახიობებს, ასევე შეკითხვები დაესვათ მათთვის. ბერლინში ფილმის 4 ჩვენება გაიმართა, ბილეთები ყველა სეანსზე წინასწარ იყო გაყიდული. „ჰორიზონტს“ დადებითი რეცენზიები მიუძღვნეს ისეთმა გავლენიანმა გამოცემებმა, როგორებიცაა: „Variety“, „Hollywood Reporter“ და „Cineuropa“.

European Shooting Star - “ევროპის ამომავალი ვარსკვლავი”

European Film Promotion-ის გადაწყვეტილებით, ირაკლი კვირიკაძე 10 ყველაზე ნიჭიერ ევროპელ “ამომავალ ვარსკვლავს” შორის მოხვდა.

Shooting Stars - ამ ნომინაციაში ქართველი მსახიობი რეზო გიგინეიშვილის ფილმში „მძევლები“ შესრულებული როლისთვის ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით წარადგინეს.



კატეგორიის ნომინანტი მსახიობები 4 დღის მანძილზე (16-19 თებერალი, 2018) დაესწრნენ ვორქშოპებს, შეხვდნენ ექსპერტებს, რეჟისორებს, პროდიუსერებს, კასტინგის დირექტორებს. 19 თებერვალს კი Berlinale Palast-ში დაჯილდოების პომპეზურ ცერემონიაზე თითოეულ მათგანს პრესტიჟული ჯილდო - European Shooting Stars Award გადაეცა.

ბერლინალეს წითელ ხალიჩაზე ახალგაზრდა ქართველი მსახიობის გამოჩენას განსაკუთრებული ინტერესი მოჰყვა ქართულ ინტერნეტ სივრცეში. კინოცენტრის ფეისბუქ გვერდი ლაივ რეჟიმში აშუქებდა ყველა ქართულ მოვლენას ბერლინის კინოფესტივალის ფარგლებში.



გერმანული კინოაკადემიის ჯილდო LOLA ქართულ ფილმს

გერმანული კინოს აკადემიამ ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის ფილმი “ჩემი ბედნიერი ოჯახი” გერმანული კინოს ჯილდოზე LOLA წარადგინა. ჩვენებები სპეციალური რეტროსპექტივის LOLA at Berlinale ფარგლებში - 18 და 21 თებერვალს დელფის ცნობილ კინოთეატრში გაიმართა. პროექტს LOLA at Berlinale სამი პარტნიორი ერთობლივად ახორციელებს: გერმანული კინოაკადემია, ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალი და გერმანული კინოს ფონდი.

ბერლინის კრიტიკოსთა კვირეული

14-22 თებერვალს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის მსვლელობისას, ბერლინში კრიტიკოსთა კვირეული გაიმართა. კვირეული ანა ურუმადის არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელმა ფილმა - “საშიში დედა” გახსნა. ანას სადებიუტო ნამუშევრის გერმანულ პრემიერას რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი, მსახიობი - ნატა მურვანიძე ესწრებოდნენ.



ბერლინის კრიტიკოსთა კვირეული წარმატებული აღმოჩნდა კიდევ ერთი ახალგაზრდა ქართველი რეჟისორისთვის. ალექსანდრე კობერიძეს გერმანულ კინოკრიტიკოსთა ჯილდო საუკეთესო ექსპერიმენტული ფილმისთვის “ნეტავ აღარასდროს მოვიდეს ზაფხული” გადაეცა.



სექცია BERLINALE CLASSICS

სექციამ BERLINALE CLASSICS მაცურებელს მსოფლიოში ათწლეულების წინ აღიარებული 7 ფილმის აღდგენილი ვერსიების მსოფლიო პრემიერები შესთავაზა. მათ შორის ერთ-ერთი მიხეილ კალატოზიშვილის კანის კინოფესტივალის ოქროს პალმის რტოს მფლობელი ფილმი - „მიფრინავენ წეროები“ იყო.



ბერლინალეს ინდუსტრიული მხარე

Market Screenings-ის ფარგლებში, რომელიც დისტრიბუტორებისთვის ფილმების ჩვენებას ითვალისწინებს, გაიმართა ზაზა ხალვაშის ახალი ფილმის „ნამე“ ჩვენება.

Berlinale Talents

ნეთვორქინგის ერთ-ერთი ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან პლატფორმაზე Berlinale Talents წელს 3 ქართველი კინემატოგრაფისტი მონაწილეობდა:



- ანა სარუხანოვა - რეჟისორი
- რატი წითელაძე - რეჟისორი, პროდიუსერი
- ნინო ვარსიმაშვილი - სცენარისტი, პროდიუსერი

რატი წითელაძემ და ნინო ვარსიმაშვილმა პროექტი „ცარიელი სახლი“ პარალელურად Talent Project Market-ზე წარადგინეს, სადაც იგი 10 საუკეთესო პროექტს შორის მოხვდა. პროგრამის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ თავიანთი პროექტები პროდიუსერებისა და გაყიდვების აგენტებისთვის წარედგინათ და პოტენციური პარტნიორები მოიძიებინათ.

CO-production Market

ქართულმა მხარემ მონაწილეობა მიიღო ბერლინალეს კოპროდუქციის ბაზრობაზე. Coproduction Market განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სივრცეა პროდიუსერებისთვის.



Dr. Andreas Görge Director General for Culture and Communication Federal Foreign Office, Germany

კოპროდუქციის ბაზრობის ფარგლებში 19 თებერვალს გაიმართა Books at Berlinale. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრისა და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის თანამშრომლობის ფარგლებში, Books at Berlinale-სთვის ქართული ლიტერატურული ნაწარმოები პირველად შეირჩა. ბერლინში დაგეგმილ ფიჩინგზე კინოადაპტაციით დაინტერესებული საერთაშორისო კინოპროფესიონალების წინაშე დათო ტურაშვილის რომანი “სხვა ამსტერდამი” წარდგა, რომელიც 12 საუკეთესო ნაწარმოებს შორის მოხვდა.



კინოცენტრის მიერ დაგეგმილი ინდუსტრიული შეხვედრები

ეროვნული კინოცენტრის რამდენიმე თვიანი მუშაობის შედეგად და ორგანიზებით, ბერლინის კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა დამატებითი შეხვედრები შემდეგი ქვეყნების კინოინდუსტრიის წარმომადგენლებთან: შვედეთი, ბელგია, ავსტრია. სამუშაო შეხვედრების მიზანი იყო, ქართველი და უცხოელი პროდიუსერებისა თუ რეჟისორების ხელშეწყობა კოპროდუქციული ნამუშევრების შესაქმნელად, რაც ქართულ კინოინდუსტრიაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას გულისხმობს.

პრეზენტაციებისას წარმოდგენილი იყო 12 ქართული სრულმეტრაჟიანი პროექტი, რომლებსაც უკვე მოპოვებული აქვს ნაწილობრივი დაფინანსება ან განვითარების გარკვეულ ეტაპზეა.

პროექტები უცხოელი კოლეგების წინაშე 15-მდე ქართველმა კინოპროდუსერმა წარადგინა. ინდუსტრიული შეხვედრები საკმაოდ ნაყოფიერად წარიმართა. არაერთმა ქართველმა კინემატოგრაფისტმა დაამყარა საქმიანი ურთიერთობა ევროპელ კოპროდიუსერთან (ავსტრია, შვედეთი, ბელგია) და შედგა შეთანხმება, დაიგეგმა სამომავლო ერთობლივი პროექტები, რაც ქართული წარმოების ევროპულ თანადაფინანსებას გულისხმობს. ერთ-ერთი წარმატებული შეთანხმება შესაძლოა ნანა ჯორჯაძეს და ავსტრიელ კოპროდიუსერებს შორის შედგეს.

ქართული კინოს რეტროსპექტივა ფრანკფურტში

ბერლინში გაიმართა შეხვედრა გერმანული კინოს მუზეუმის წარმომადგენელთან - ნატაშა გიკასთან. 2018 წლის ოქტომბერში ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ეროვნული კინოცენტრი, გერმანიის კინოს მუზეუმთან Deutsches Filmmuseum და კინოსა და ვიდეო ხელოვნების ინსტიტუტ - არსენალთან ერთად, გაიმართება ქართული ფილმების დიდი რეტროსპექტივა და დისკუსიები. პროგრამა მოიცავს როგორც კლასიკურ პერიოდს, ისე ახალ ქართულ ფილმებს. ნაჩვენები იქნება 15 ნამუშევარი, მათ შორის ავანგარდული უხმო კინოს ნიმუშები, როგორებიცაა კოტე მიქაბერიძის „ჩემი ბებია“ (1929 წ.) და მიხეილ კალატოზიშვილის „ჯიმ შვანთე“ (1930 წ.).

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბჭოთა კავშირის პერიოდში დამკვიდრებულ ე.წ. ფორმალიზმსა და ასევე ცენზურის გავლენას ქართულ კინოზე. საუბარი იქნება რეჟისორების: მიხეილ ჭიაურელის, მიხეილ კალატოზიშვილის და ნიკოლოზ შენგელაიას შემოქმედებაზე.

პროგრამის ფარგლებში ასევე ნაჩვენები იქნება ბოლო დროის წარმატებული თანამედროვე ქართული ფილმები. სრულმეტრაჟიანი ფილმების გარდა გერმანელი მაყურებელი გაეცნობა ქართულ დოკუმენტურ და მოკლემეტრაჟიან კინოს. დაიგეგმა ასევე ლექციები კონკრეტული ფილმების გარშემო და დისკუსიები რეჟისორებთან.



ქართული კინოს რეტროსპექტივა ბელგიის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში

ეროვნული კინოცენტრის და ბელგიის თანამედროვე ხელოვნების ცენტრ BOZAR-ის თანამშრომლობით, 2018 წლის ბოლოს ქალაქ ბრიუსელში გაიმართება ქართული კინოს რეტროსპექტივა. ბერლინალეს ფარგლებში გაიმართა შეხვედრა BOZAR-ის ხელმძღვანელთან - ჟულიეტ დიურეტთან, რომელზეც განხილულ იქნა ქართული რეტროსპექტივის ფორმატი და სხვა დეტალები.

თანამშრომლობა სხვა კინოფესტივალებთან

კინოცენტრის გუნდმა გამართა არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა სხვადასხვა ფესტივალის წარმომადგენლებთან და დაიგეგმა ქართული ფილმების პროგრამები:

2018 წლის 1-6 მაისს საქართველო შვერინის კინოფესტივალის FILMKUNSTFEST-ის ფოკუსში იქნება.

გამართა შეხვედრა კინოფესტივალის FILMKUNSTFEST სამხატვრო ხელმძღვანელთან, ვოლკერ კუფალთან. გერმანიის ქალაქ შვერინის კინოფესტივალისთვის ქართული ფილმების სპეციალური პროგრამა მზადდება. იგეგმება 15-20 ფილმის ჩვენება და შეხვედრები რეჟისორებთან.

2018 წლის 8-13 ნოემბერს საქართველო შვეიცარიის ვინტერტურის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალის ფოკუსში იქნება (Internationale Kurzfilmtage Winterthur).

დაიგეგმა ერთობლივად მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროგრამის შედგენა.

ასევე, 2018 წლის 8-13 ნოემბერს კოტბუსის ფესტივალზე იგეგმება ფოკუსი ქართულ კინოზე. მიმდინარეობს ერთობლივი მუშაობა ფესტივალთან პროგრამის შედგენაზე.



2018 წლის 25-30 სექტემბერს საქართველო ბრისტოლის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალის ENCOUNTERS FILM FESTIVAL-ის ფოკუსში იქნება.

ეროვნული კინოცენტრის, თბილისის მერიისა და ბრისტოლის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალის თანამშრომლობით, 2018 წელს, საქართველო Encounters Film Festival -ზე საპატიო ქვეყნის სტატუსით იქნება წარმოდგენილი.

ფესტივალის დირექტორ რიჩ უორენთან შეხვედრის შედეგად, დაიგეგმა ქართული საფესტივალო პროგრამები:

- სტუდენტური ფილმების პროგრამა (90 წუთი)
- ძველი მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროგრამა (90 წუთი)
- თანამედროვე მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმების პროგრამა (90 წუთი)
- ერთი სტუდენტური ქართული ფილმი, რომელის რეჟისორმა წარმატებით გაიარა გზა მოკლემეტრაჟიანი ფილმის წარმოებიდან სრულმეტრაჟიანი ფილმის შექმნამდე.

ქართული პროექტები Transilvania International Film Festival - ის ინდუსტრიული სექციაში

Transilvania International Film Festival-ის ინდუსტრიული სექცია, ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით, შეარჩევს რამდენიმე ქართულ ავტორს, რომელთაც ექნებათ შესაძლებლობა ფესტივალზე წარადგინონ საკუთარი პროექტები და მოიპოვონ სხვადასხვა სახის ჯილდო.

Karlovy Vary-ის საერთაშორისო კინოფესტივალის და ეროვნული კინოცენტრის თანამშრომლობა

ბერლინალეს ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა Karlovy Vary - ის საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორ - კარელ ოხსა და კინოცენტრის დირექტორ ზურაბ მაღალაშვილს შორის. შეხვედრის დროს დაიგეგმა, რომ ფესტივალის დირექტორი უახლოეს მომავალში ესტუმრება საქართველოს. ვიზიტის მიზანია, პირადად ნახოს უახლესი ქართული ფილმები და შეარჩიოს ფესტივალის პროგრამისთვის. ასევე, ფესტივალის ინდუსტრიულ სექციაში დაგეგმილია ქართული პროექტების მონაწილეობა.



საქართველოს მიღება

20 თებერვალს მექლენბურგ-ფორპომერნის ბუნდესლანდის წარმომადგენლობაში, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და ეროვნულმა კინოცენტრმა გამართეს მნიშვნელოვანი მიღება საქართველოს სახელით. მიღება მიემდგნა საქართველოს მონაწილეობას 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, მთავარი სტუმრის რანგში. წვეულებას დაესწრნენ არამხოლოდ კინოს სფეროს წარმომადგენლები, არამედ დიპლომატიური კორპუსი და წამყვანი გერმანული გამომცემლები. მიღებას დაახლოებით 300 სტუმარი დაესწრო. სადამო მუსიკალურად გააფორმეს პიანისტმა - ვალერიან შიუკაშვილმა და მუსიკოსებმა - ნიკა მაჩაიძემ და ტუსია ბერიძემ.

კინო სკოლაში

ბერლინის კინოფესტივალის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა ბრიტანული კომპანიის Film Literacy Europe-ის დირექტორ - სემ ვაინშტაინთან. შეხვედრის დროს, საუბარი შეეხო სამომავლო თანამშრომლობას კინოგანათლების კუთხით. დაიგეგმა ერთობლივი პროექტის მომზადება, რომელმაც დაფინანსება “შემოქმედებითი ევროპის” მიმდინარე კონკურსის გზით უნდა მოიპოვოს.

მარიამ ხაჭვანი კანის კინოფესტივალის რეზიდენციის პროგრამაში 6 საუკეთესო რეჟისორს შორის მოხვდა

მარიამ ხაჭვანი მის ახალ პროექტზე „ნენე“ მუშაობას პარიზში განაგრძობს. ახალგაზრდა ქართველი რეჟისორი კანის კინოფესტივალმა რეზიდენციის პროგრამისთვის Cinefondation შეარჩია. მარიამი 6 თვის მანძილზე პარიზში იცხოვრებს და შესაძლებლობა ექნება დაესწროს ცნობილი კინემატოგრაფისტების მასტერკლასებს. შარშან ამავე პროგრამაში Cinefondation რატი წითელაძე მონაწილეობდა პროექტით „ცარიელი სახლი“.

მარიამ ხაჭვანის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი „დედე“ ეკრანებზე 2018 წელს გამოვიდა. ფილმის მსოფლიო პრემიერა კარლოვი ვარის კინოფესტივალზე შედგა, სადაც ჟიურის სპეციალური ჯილდო დაიმსახურა. „დედეს“ ასევე აქვს აღებული იუნესკოს კულტურული მრავალფეროვნების ჯილდო აზია - წყნარი ოკეანის დაჯილდოვების ცერემონიაზე.




„მზის ქალაქის“ ახალი საერთაშორისო ჯილდოები

რატი ონელის დოკუმენტური ფილმი „მზის ქალაქი“ საერთაშორისო კინოფესტივალებზე ჯილდოების მოპოვებას განაგრძობს.

რამდენიმე დღის წინ „მზის ქალაქი“ იტალიაში, Bergamo Film Meeting Festival დაჯილდოვდა, როგორც საუკეთესო ფილმი, რომელიც შრომით ბაზარზე არსებულ ვითარებას ეხება.

მანამდე „მზის ქალაქს“ კიდევ 2 ჯილდო გადაეცა - საერთაშორისო ჟიურის სპეციალური აღნიშვნა ხორვატიაში ZagrebDox International Documentary Film Festival-ზე და საუკეთესო დოკუმენტური ფილმის პრიზი MiradasDoc festival-ზე.

„მზის ქალაქის“ მსოფლიო პრემიერა 2017 წელს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. აღსანიშნავია, რომ ამავე წელს იგი სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალის საუკეთესო დოკუმენტური ფილმი გახდა.



ანა ურუშაძის ფილმი „საშიში დედა“ ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში

28 მარტიდან 8 აპრილის ჩათვლით ნიუ იორკი კინოფესტივალის New Directors/New Films 47-ე გამოშვებას მასპინძლობს, რომლის პროგრამაშიც ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის - ანა ურუშაძის სადებიუტო ნამუშევარი „საშიში დედა“ მოხვდა.

ფილმების ჩვენებები ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში MOMA იმართება. „საშიში დედის“ პირველი ჩვენება 31 მარტს შედგა, ხოლო მეორე ჩვენება 2 აპრილსაა დაგეგმილი.

ფილმი „საშიში დედა“ არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია. მათ შორის აღსანიშნავია „ოქროს ლეოპარდი“ ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე და გრან პრი სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალზე. აღსანიშნავია, რომ მარტის თვეში ფილმს კიდევ ერთი პრიზი შეემატა - JORDAN RESSLER SCREENWRITING AWARD HONORABLE MENTION მაიამის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ჯილდო საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის და ევროპული კინოაკადემიის ნომინაცია

რატი წითელაძის მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „სოციუმის პატიმარი“ მსოფლიო პრემიერა Tampere Film Festival-ის საკონკურსო პროგრამაში შედგა, რაც ფილმის შემქმნელებისთვის იღბლიანი აღმოჩნდა. „სოციუმის პატიმარი“ ფესტივალის საუკეთესო დოკუმენტური ფილმი გახდა და ევროპული კინოაკადემიის ნომინაციაც მიიღო.



ფილმი მოგვითხრობს ერთი პატარა ოჯახის ამბავს, რომლის ერთობაც დიდი გამოწვევის წინაშე დგას... ეს არის ფილმი თავისუფლების წყურვილზე, აუხდენელ ოცნებებზე და მომავალზე, რომელიც გაურკვეველია.



ზაზა ხალვაშის „ნამე“ გოტებორგის კინოფესტივალზე აჩვენეს

ზაზა ხალვაშის ფილმი „ნამე“, რომლის მსოფლიო პრემიერაც ტოკიოს კინოფესტივალზე შედგა, გოტებორგის კინოფესტივალზე აჩვენეს. ფილმი პროგრამაში FIVE CONTINENTS იყო წარმოდგენილი.

„ნამე“ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთებში, ერთ პატარა, ტრადიციულ სოფელში მცხოვრები მოხუცი მამის, მისი ქალიშვილი ნამეს და სამი ვაჟის შესახებ მოგვითხრობს. ძმებიდან ერთი მასწავლებელია, მეორე - მოლა, ხოლო მესამე - მღვდელი. სოფელში მაჰმადიანები და მართმადიდებლები ერთად ცხოვრობენ. სოფლის ერთ ბოლოში ეკლესია დგას, მეორე ბოლოში კი მეჩეთია.

ფილმი „გაიღიმეთ“ ნეპალში დააჯილდოვეს

მიუხედავად იმისა, რომ რუსუდან ჭყონიას ფილმი ეკრანებზე 2012 წელს გამოვიდა, იგი ჯილდოების მიღებას კვლავაც განაგრძობს.

ამჯერად „გაიღიმეთ“ ნეპალის საერთაშორისო კინოფესტივალზე დაჯილდოვდა. ფილმს ჟიურის სპეციალური პრიზი გადაეცა.



ქართული ფილმების რეტროსპექტივა ბრუსელში

17-23 იანვარს, თანამედროვე ხელოვნების ცნობილი ცენტრი ბრიუსელში BOZAR ქართულ ფილმების რეტროსპექტივას მასპინძლობდა.

ღონისძიება ფესტივალის BRIDGES. EAST OF WEST FEST ფარგლებში გაიმართა, სადაც შემდეგი ქართული ფილმები იყო წარმოდგენილი: “როცა დედამიწა მსუბუქია”, “საშიში დედა”, “მძევლები”, “ცისფერი მთები”, “დედე”.

საქართველოს გარდა ფესტივალზე BRIDGES. EAST OF WEST FEST მონაწილეობდა სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა და უკრაინა.

ეროვნული კინოცენტრი ფესტივალის ერთ-ერთი პარტნიორია.

მარიამ ჭაჭიას დოკუმენტური ფილმი ბუდაპეშტში აჩვენეს

მარიამ ჭაჭიას დოკუმენტური ფილმი “მოუსმინე სიჩუმეს” კიდევ ერთი საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მოხვდა.

ფილმი დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე - BDIF 2018 წარადგინეს, რომელიც ბუდაპეშტში 23-28 იანვარს გაიმართა. „მოუსმინე სიჩუმეს“ საერთაშორისო საკონკურსო სექციაში - I DECIDE მონაწილეობდა. ფესტივალის ფარგლებში ფილმის ჩვენებები 24 და 25 იანვარს გაიმართა.



ქართველი კინემატოგრაფისტები კიევის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე DOCUDAYS UA

უკრაინაში, ქალაქ კიევში დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი Docudays UA გაიმართა. საკონკურსო პროგრამის ფარგლებში ნაჩვენები იყო ვახტანგ კუნცევა-გაბაშვილის ფილმი “გამჭვირვალე სამყარო”, რომელიც ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა.

ამავე ფესტივალზე შედურმა ორგანიზაციამ B2B Doc მოაწყო პიჩინგ ფორუმი Producers meet producers, რომელიც ითვალისწინებდა სკანდინავიის და ბალტიისპირეთის ქვეყნების პროდიუსერების დაახლოებას აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის პროდიუსერებთან.

ფორუმზე შედგა ორი ქართული დოკუმენტური ფილმის პროექტის წარდგენა: გიორგი ვარსიმაშვილის “ბოლო სპექტაკლი” და ქეთევან ნოზაძის “სტალნი დღეს”.

ქართულ ანიმაციურ ფილმს “ჯიბის კაცი” მორიგი ჯილდო საფრანგეთში გადაეცა

ანა ჩუბინიძის ანიმაციური ფილმი “ჯიბის კაცი” საფრანგეთში დააჯილდოვეს. ფილმს როანეს ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე ახალგაზრდა მაცურებლის ჯილდო გადაეცა.

“ჯიბის კაცი” პირველი ქართულ-ფრანგული კოპროდუქციაა ანიმაციაში, რომელიც ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა.

პრემიერები

„დედე“ - სვანური ბალადა

მარიამ ხაჭვანის „დედე“ 22 თებერვლიდან საქართველოს კინოთეატრებში გამოვიდა, პრემიერამდე 2 დღით ადრე კი ფილმის სპეციალური ჩვენება გაიმართა მედიის წარმომადგენლებისთვის.

„დედეს“ მსოფლიო პრემიერა კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, სადაც იგი ჟიურის პრიზის მფლობელი გახდა. მოგვიანებით კი ფილმს ავსტრალიის ქალაქ ბრისბანში გამართულ Asia Pacific Screen Awards-ის დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიაზე იუნესკოს „კულტურული მრავალფეროვნების“ ჯილდო გადასცეს და საფრანგეთში, იუნესკოს ცენტრალურ ოფისში აჩვენეს.

არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი „დედე“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. იგი სვან გოგონაზე მოგვითხრობს, რომელიც საკუთარი ნების წინააღმდეგ დანიშნეს და მომავალი ქორწინების ჩაშლას ცდილობს.



„საშიში დედა“ პრემიერა

29 მარტიდან საქართველოს კინოთეატრებში ანა ურუშაძის „საშიში დედა“ გამოვიდა, ფილმის პრემიერამდე 3 დღით ადრე კი მისი შეფასების შესაძლებლობა მედიის წარმომადგენლებს მიეცათ. სპეციალური ჩვენება 26 მარტს, კინოთეატრ „ამირანში“ 11 საათზე შედგა. ჩვენების შემდეგ კი პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც ფილმის რეჟისორი ანა ურუშაძე, პროდიუსერი ლაშა ხალვაში და მსახიობები - ნატა მურვანიძე და დიმა ტატიშვილი დაესწრნენ.

„საშიში დედა“ ანა ურუშაძის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ნამუშევარია, რომელიც ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. ფილმს არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ჯილდო აქვს მოპოვებული, მათ შორის „ოქროს ლეოპარდი“ ლოკარნოს კინოფესტივალზე, სარაევოს კინოფესტივალის გრან პრი და Asia Pacific Screen Awards-ზე მოპოვებული 2 აზიური ოსკარი. „საშიში დედა“ შარშან საქართველოს კანდიდატი ფილმი იყო ოსკარზე.



ლეგენდარული ქართველი რეჟისორი ელდარ შენგელაია 85 წლის გახდა. რეჟისორის იუბილესთან დაკავშირებით, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, ეროვნულმა კინოცენტრმა და საქართველოს კინოაკადემიამ საზეიმო მიღებას უმასპინძლებს.

ღონისძიებას ცნობილ ქართველ კინემატოგრაფისტებთან ერთად კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი და საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტი - ზაზა ურუშაძე დაესწრნენ. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ ზაქრია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლეულის“ მოსწავლეები.

ელდარ შენგელაია შემოქმედებით საქმიანობას კვლავაც აგრძელებს. 2017 წელს, რეჟისორმა კიდევ ერთი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სავარძელი“ გადაიღო, რომლის მსოფლიო პრემიერაც მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.



კარლოვი ვარის კინოფესტივალის დირექტორის - კარელ ოხის ვიზიტი

ეროვნული კინოცენტრის მოწვევით, საქართველოში სამუშაო ვიზიტით კარლოვი ვარის კინოფესტივალის დირექტორი - კარელ ოხი ჩამოვიდა. ვიზიტის მთავარი მიზანი ფესტივალისთვის ქართული ფილმების შერჩევაა, შესაბამისად კარელ ოხი რამდენიმე დღის მანძილზე აფასებდა ახალ ქართულ ფილმებს.

კარელ ოხი კარლოვი ვარის კინოფესტივალის დირექტორის თანამდებობას 2010 წლიდან იკავებს, მანამდე იგი ფესტივალის პროგრამერი და სელექციის კომიტეტის წევრი იყო. აღსანიშნავია, რომ კარელ ოხთან ერთად სამუშაო ვიზიტით საქართველოში ჩილეს კინოფონდის დირექტორი - კონსტანცა არენაც იმყოფება, რომელიც ასევე აქტიურად ეცნობა ქართულ კინოს.

კარლოვი ვარის კინოფესტივალი ფესტივალების A-კლასის, უმაღლეს კატეგორიას მიეკუთვნება. იგი ჩეხეთში 1946 წლიდან იმართება, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წამყვან კინოლონისპიებად ითვლება და ყოველწლიურად უამრავ ცნობილ და წარმატებულ კინემატოგრაფისტს მასპინძლობს. საქართველო კარლოვი ვარის კინოფესტივალზე არაერთხელ ღირსეულად ყოფილა წარმოდგენილი. ბოლო წლების განმავლობაში ქართველმა კინემატოგრაფისტებმა 3 ჯერ აიღეს ფესტივალის ჯილდო - Crystal Globe: 2 გრან პრი (გიორგი ოვაშვილი, რუსუდან გლურჯიძე) და ჟიურის პრიზი (მარიამ ხაჭვანი 2017).

კარლოვი ვარის კინოფესტივალი წელს 29 ივნისიდან 7 ივლისის ჩათვლით ჩატარდება.



ყრუ და სმენადაქვეითებული მოქალაქეები ჟესტურ ენაზე ადაპტირებულ ფილმებს ნახავენ

29 მარტს, 19:00 საათზე, საქართველოს კინოაკადემიის მცირე დარბაზში გაიმართა პროექტის „კინო ჟესტებით“ პრეზენტაცია, რაც ყრუ და სმენადაქვეითებული მოქალაქეებისათვის ფილმების ჟესტურ ენაზე ადაპტირებას გულისხმობს.

პროექტის ფარგლებში აჩვენეს „ახალგაზრდა ხელოვანთა საერთაშორისო გაერთიანების“ მიერ შერჩეული და ჟესტების ენით ადაპტირებული ორი საფესტივალო მოკლემეტრაჟიანი ფილმი: „აპოლო ჯავახეთი“ (რეჟისორი ბაქარ ჩერქეზიშვილი) და „8 წუთი“ (რეჟისორები: გიორგი გოგიჩაიშვილი და დათო აბრამიშვილი).

პრეზენტაციას დაესწრნენ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეროვნული კინოცენტრის და კინოსექტორის წარმომადგენლები, საქართველოს ყრუთა კავშირის წევრები და სპეციალიზირებული სკოლების მოსწავლეები. ფილმების ჩვენების ბოლოს გაიმართა დისკუსია, რაც შესაძლებლობას მისცემს პროექტის ავტორებს სამომავლოდ გაითვალისწინონ დამსწრე ბენეფიციარების მოსაზრებები.

პროექტის „კინო ჟესტებით“ იდეის ავტორი და ორგანიზატორია „ახალგაზრდა ხელოვანთა საერთაშორისო გაერთიანება“, მხარდამჭერები - ეროვნული კინოცენტრი, საქართველოს კინოაკადემია და adjara.net, ხოლო პროექტის კონსულტანტია საქართველოს ყრუთა კავშირი.

პროექტის „კინო ჟესტებით“ განხორციელების შემდეგ, საქართველოში მცხოვრები 5 000-ზე მეტი ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანი შეძლებს უყუროს სპეციალურად მათთვის შერჩეულ და ადაპტირებულ მხატვრულ, დოკუმენტურ, ანიმაციურ ფილმებს და მონაწილეობა მიიღოს ჩვენებების შემდგომ დისკუსიებში.

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით ბათუმში ვორქშოპი „ბათუმის ერთი დღე“ ჩატარდა

26 თებერვლიდან 7 მარტის ჩათვლით ქალაქ ბათუმში ვორქშოპი „ბათუმის ერთი დღე“ მიმდინარეობდა.

პროექტის ფარგლებში მოხდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის გადაღება, რამაც შესაძლებლობა მისცა სტუდენტებს უნივერსიტეტში მიღებული თეორული ცოდნა პრაქტიკაში გამოყენებინათ, ხელი შეეწყო მათ პროფესიულ ზრდას და ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას.

სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „ბათუმის ერთი დღე“ დასრულების შემდეგ იგეგმება ფილმის პრემიერა ბათუმსა და თბილისში, ასევე, ლოდის ეროვნულ კინოსკოლაში და ვარშავის ეროვნული კინოცენტრის დარბაზში. ფილმი გაიგზავნება საერთაშორისო სტუდენტური და დოკუმენტური ფილმების კინოფესტივალებზე.



საქართველოს კულტურისა
და ძეგლების დაცვის
სამინისტრო



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - info@gnfc.ge.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge